განკარგულება:**g-31. 31222992**
თარიღი:**26/10/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №56

2022 წლის 26 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2022 წლის 21 სექტემბრის N5/52683 და 4 ოქტომბრის N5/55066 მომართვის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დამატებითი კატეგორიის უძრავი ქონება, კერძოდ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდებარე გვიმბალაურის ადმინისტრაციული შენობა ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 70.56 კვ.მ ფართისა (ს/კ 27.08.46.002. 01/500) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩიბათის ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 159.66 კვ.მ ფართის (ს/კ 27.09.46.013. 01/500) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების „ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ძირითადი (განუსხვისებელი) კატეგორიის უძრავი ქონება, კერძოდ მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მამათის ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 78.80 კვ.მ ფართის (ს/კ 27.01.42.015. 01/503) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების „ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1222.0 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე

განთავსებული 104.48 კვ.მ შენობა-ნაგებობა ს/კ 27.14.48.008) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების „ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე